საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 07-01\44

ქ. ბათუმი 11 ოქტომბერი, 2019წ.

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო და ჯანდაცვის ფაკულტეტზე დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის განსაზღვრის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–10 მუხლის, ,,ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის (ინგლისურენოვანი) დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 აგვისტოს N 06-01/105 დადგენილების და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო და ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე (მოცულობა - 360 კრედიტი; ხანგრძლივობა - 6 სასწავლო წელი) **სწავლის წლიური საფასური** 2019 წლის ნოემბრიდან ჩარიცხული სტუდენტებისათვის განისაზღვროს 4000 (ოთხი ათასი) აშშ ამერიკული დოლარით.
2. გადაწყვეტილება აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს საბუნებისმეტყველო და ჯანდაცვის ფაკულტეტს (დეკანს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს და პროგრამის ხელმძღვანელ სოფიო ბერიძეს), ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და იურიდიულ დეპარტამენტს.
3. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი დავით ბარათაშვილი